საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

EMERGENCY MANAGEMENT SERVICE

ES 6 18 00071395

17/10/2018

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირვლადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2018 წლის 5 ოქტომბმბრის N60-011827822521 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი 08.10.2018; N68516) პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალისტების მიერ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57-ე დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განხილული იქნა ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზ.(ნაკვეთი 25/28) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.11.004.017) ასაშენებელი ბენზინ ან დიზელგასამართი სადგურის დაპროექტრბის დოკუმენტაცია, შ.პ.ს „ბიოსფერო“-ს დირექტორის ლევან დევდარიანის მიერ დამატებით წარმოდგენილი (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი 12.10.2018 ; N70299) დაპროექტების დოკუმენტაცია, (გენგეგმა შესაბამისი ზომების მითითებით და განმარტებითი ბარათი) სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის ნაწილში.

წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტაციის განხილვის შედეგებით დადგინდა, რომ ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზ.(ნაკვეთი 25/28) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.11.004.017) ასაშენებელი ბენზინ ან დიზელგასამართი სადგურის დაპროექტების დოკუმენტაცია, რომელშიც ქალაქ თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს მიმდინარე წლის 15 ივნისის N34946 წერილის საფუძველზე შეტანილი იქნა

სათანადო ცვლილება-დამატებები, შეესაბამება სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

პატივისცემით,

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
თალაკვაძე ზურაბი